

**სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გოჩა შანშაშვილის ანგარიში
2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ.**

მოგახსენებთ, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულო მუშაობას შეუდგა 2021 წლის 3 დეკემბრიდან. ამ დროიდან ვარ მაჟორიტარი დეპუტატი სოფელი ტიბაანის, ქვემო მაჩხაანის, ხირსისა და ხორნაბუჯის მაჟორიტარულ ოლქში.

ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის წევრი. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 13 სხდომა, ვესწრებოდი 11 -ს. ასევე, ჩატარდა 9 კომისიის სხდომა, ვესწრებოდი 8-ს. ხოლო ფრაქციის „ქართული ოცნება“ 11 სხდომიდან, ვესწრებოდი 10-სხდომას.

საანგარიშო პერიოდში მქონდა შეხვედრები ამომრჩევლებთან. მე ვისმენდი მათ შეხედულებებს, პრობლემებს და პრიორიტეტულ საკითხებს. კერძოდ:

სოფელ ხირსაში რამდენიმე ოჯახს საკუთრებაში გადავეცით საცხოვრებელი ბინები. სოფელი ხირსის, ხორნაბუჯის და ქვემო მაჩხაანის მოსახლეობას სოციალური დახმარების მუნიციპალური პროგრამით დაუფინანსდათ ოპერიაციები. გავეცით ერთჯერადი და ჰუმანიტარული დახმარებები. ზამთრისათვის გაჭირვებულ ოჯახებს დავეხმარე შეშით. ამჟამად იწყება წყლის პროექტის განხორციელება. სოფლის პროგრამის ფარგლებში სოფელ ხირსაში და ხორნაბუჯში გაკეთდება გარე განათება.

სოფელ ხორნაბუჯში მოასფალტდა 900 მეტრიანი გზა. გაკეთდა სკვერი და სპორტული მიწის სტადიონი.

სოფელ ქვემო მაჩხაანში აშენდა 90 ბავშვზე გათვლილი სკოლა, უმაღლესი სტანდარტებით.

დაწყებულია წყალმომარაგების სამუშაოები, რომელიც ახლაც მიმდინარეობს. მიმდინარეობს სიღნაღი - ქვემო მაჩხაანის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება, რომელიც დამთავრება დეკემბერში. უნდა დაიწყოს სოფლის სასაფლაოს შემოღობვასთან დაკავშირებული სამუშაოები.

ასევე, გაგაცნობთ, სოფელ ტიბანში ჩემს საანგარიშო პერიოდში შესრულებულ და მიმდინარე პროექტებს. სოფელში, ქვემო უბანში დაიგო 680 მეტრიან გზაზე ასფალტი, სანიაღვრეებითა და შესაბამისი საგზაო ნიშნებით.

ასფალტი დაიგება სოფლის საკრებულოს შესასვლელთან 140 მეტრიან გზაზე.

სოფლის მოსახლეობის მოთხოვნით, სოფლის ცენტრში განთავსდა სამი სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი. გაიწმინდა სანიაღვრეები.

შეკეთდა ადმინისტრაციული შენობის სახურავი.

წითელი ჯვრის მონაწილეობით გაჭირვებულ მოსახლეობას გადავეცით ტანსაცმელი და საკვები პროდუქტები.

სოციალურად დაუცველთა დასაქმების პროგრამის ფარგლებში, რეკომენდაცია გავუწიე და დავასაქმე სოციალურად დაუცველი მოქალაქეები.

აქტიურად ვთანამშრომლობ სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერთან მალხაზ ბეგიაშვილთან და მერის წარმომადგენლებთან.

მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადაგიხადოთ არჩევნებში ნდობისა და მხარდაჭერისათვის. მიმაჩნია, რომ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი. ჩემი მიზანია, მოსახლეობასთან თანამშრომლობითა და შეთანხმებით მოგვარდეს პრობლემატური და პრიორიტეტული საკითხები. წინ კიდევ სამი წელია დარჩენილი და თქვენი უშუალო ჩართულობით ვფიქრობ შევძლებთ არსეული პრობლემების მოგვარებას.

გოჩა შანშაშვილი